

იუჯინ ო'ნილი
ხანგრძლივი მოგზაურობა შინისაკენ
ინგლისურიდან თარგმნა მარიამ ქაშიბაძემ

გმირები – მსუქანი ჯო, ბარის მფლობელი

ნიკი, თაღლითი

მეგი, მეზუფეტე

ოლსონი ჰბრიტანული სატვირთო გემის „გლენკაირნის“ მეზღვაურები.

დრისკოლი

კოკი

ივანი

ფრედა

ორი ხულიგანი

სცენა – ღარიბული ბარი ლონდონის სანაპიროზე – ჭუჭყიანი კედლებზე ჩამოკიდებული მზუტავი ლამფები დარბაზს ანათებს. მარცხნივ, დახლის წინ, გვერდით ოთახში გამავალი კარია. მაჯვნივ, სკამებით გარშემორტყმული მაგიდები. უკანა მხარეს, ქუჩაში გამავალი კარი.

ნასვამი ფეთხუმი მეზუფეტე სულელური გამომეტყველებით მექანიკურად წმენდს დახლს. თითქოს ზეზეულად თვლემს. ბარის შორეულ კუთხეში ბარის მეპატრონე მსუქანი ჯო დგას. სახე წითელი და გასიებული აქვს, პატარა ხარბი თვალები სიმსუქნისგან ძლივს მოუჩანს. კოტიტა თითები იაფფასიანი ბეჭდებით აქვს დამძიმებული. ოქროს საათის ჯაჭვი ბაგირივით კვეთს მის კუბოკრულ ყილეტს.

ერთ-ერთ მაგიდასთან მხარბეჭიანი ახალგაზრდა ზის და სიგარეტს ეწევა. ფერმკრთალი სახე და მკვირცხლი გამოხედვა აქვს. გაცვეთილი და გახუნებული კოსტუმი აცვია, ყელზე შარფს აქვს მოხვეული, თავზე ქუდი ახურავს.

დაახლოებით საღამოს ცხრა საათია.

ჯო (მთქნარებით) საშინელი საღამოა, არავინ შემოდის. არ ვიცი რა მოხდა. გეგონება სამარეში ვართ. ნეტა, სად არიან მეზღვაურები? (ხმას უწევს) ეი, ნიკ! (ნიკი გულგრილად შემობრუნდება). რა ჰქვია იმ გემს ნავსადგურში რომ შემოვიდა ამ საღამოს?

ნიკი (მოკლედ) „გლენკაირნი“ – ბუენოს აირესიდან.

ჯო ეკიპაჟისთვის ანგარიში ჯერ არ გაუსწორებიათ?

ნიკი როგორც მითხრეს, ამ საღამოს გადაუხადეს. გემბანზე ვიყავი. სავიზიტო ბარათები მივეცი. დამპირდნენ, რომ მოვიდოდნენ ამაღამ.

ჯო ისეთი თუ იყო ვინმე ორი წლის ჯამაგირი რომ გადაუხადეს?

ნიკი ოთხი ბრიტანელი და ერთი გერმანელი.

ჯო (გულისწყრომით) და მიუხედავად ამისა მიატოვე და წამოხვედი? მე ხომ იმისთვის გიხდი, რომ ისინი მომიყვანო აქ?!

ნიკი (ბუზღუნით) ბევრს კი მიხდი! მთელ ქალაქს ვერ შემოვიტყუებ შენს ბარში.

ჯო მხოლოდ ჩემთვის ხომ არ გეუნები, წილსაც გაძლევ, პატიოსნად!

ნიკი (ჩაცინებით) ჰო – სხვა გზა არა გაქვს.

ჯო სხვა გზა არა მაქვს? ბევრი ინატრებდა შენს ადგილას ყოფნას!

ნიკი ხო? პოლიციამ რომ დამიჭიროს თაღლითობისთვის მერე რა მეშველება?

ჯო (აღშფოთებით) ჩვენ არ ვთაღლითობთ.

ნიკი (სარკასტულად) მართლა?!

ჯო (ცოტათი დაბნეული) კარგი, ხანდახან, მაშინ როდესაც ვაჭრობა არ მიგვდის. (დაბნეულობის დასაფარად გაბრაზებული ბრუნდება მთვლემარე მებუფეტესკენ.) გეყოფა გოგო, ერთი საათია ასუფთავებ და ასუფთავებ ამ წყეულ დახლს. გამეცალე აქედან!

მეგი (სლუკუნებს) ოჰ, ნუ მიყვირი ჯო. ღმერთია მოწმე ყველაფერს ვაკეთებ რომ გასიამოვნო. (გულამოსკვნილი ქვითინი წასკდება.)

ჯო (უხეშად) მორჩი ღრიალს და გამეცალე აქედან!

ნიკი (ჩაცინებს) ნასვამია ჯო. ჯინს წრუპავდა, არა მეგ?

მეგი (უცებ წყვეტს ტირილს და გაბრაზებული ტრიალდება მისკენ) შე, პატარა ჩხუბისთავო, შენა! გირჩევნია მოკეტო! ცილს რატომ სწამებ პატიოსან ქალს? (ისევ ქვითინს იწყებს) ძალივით მექცევით, იმიტომ რომ ავადმყოფი და უძლური ვარ.

ჯო გირჩევნია წახვიდე ჩემო გოგო! ადი ზემოთ და დაიძინე. თუ დამჭირდი დაგიძახებ. ის ორი გააღვიძე. მალე შეიძლება კლიენტები მოვიდნენ, ცხრის ნახევარია. გესმის ჩემი?

მეგი (ბარბაცით მიდის დახლს იქით მარჯვენა კარისკენ – ქვითინებს) კი, კი მესმის. (გადის)

ჯო (პაუზის შემდეგ) ოთხი კაცი ორი წლის ხელფასით, ფულით სავსე ჯიბეებით – შენ კი ხელიდან გაუშვი ისინი. (დამწუხრებული თავს გააქნევს.)

ნიკი (მოუთმენლად) დამშვიდდი! დამპირდნენ მოვალთო. ჯერ ადრეა. (დაბალ ხმაზე) წვეთები გაქვს? შეიძლება დაგვჭირდეს.

ჯო (დახლის ქვემოდან იღებს პატარა ბოთლს) კი, აქ არის.

ნიკი (კმაყოფილი) კარგია! წვეთები იმიტომ ვიკითხე, რომ ამ საღამოს „ამინდრას“ კაპიტანი ვნახე.

ჯო „ამინდრა“? ეს რომელი გემია?

ნიკი ის წყეული გემია – მაღალი, კარგად აღჭურვილი, თეთრად შეღებილი, ნავსადგურში დგას უკვე ერთი თვეა. შენც იცი.

ჯო ჰო, გამახსენდა.

ნიკი კაპიტანმა მითხრა რომ კიდევ ერთი მეზღვაური სჭირდება. ხვალ გამთენიისას მიცურავენ.

ჯო ძალიან ბევრი მეზღვაური ელოდება გემებს, როგორც ვიცი.

ნიკი თუმცა არა ამ გემს. კაპიტანი და მისი თანაშემწე წყეული ექსპლუატატორები არიან. ბოლო მოგზაურობის დროს ეკიპაჟი კინალამ შიმშილით დახოცეს და ახლა ვერავინ გაბედავს მასზე ასვლას. (პაუზის შემდეგ) კაპიტანს შეგპირდი, ერთ კაცს მოგიყვან ამალამთქო.

ჯო და სად იშოვი ამ ერთ კაცს?

ნიკი (თვალს ჩაუკრავს) ვიფიქრე, „გლენკაირნიდან“ ერთ-ერთ მეზღვაურს წავუყვანთქო, მათ ხომ უკვე

გადაუხადეს და თან აქეთ მოდიან.

ჯო (ჩაიცინებს) კარგი ნადავლი იქნებოდა, თუ მოვლენ საერთოდ.

ნიკი მოვლენ და ყველა უნამუსოდ მთვრალი იქნება. დაელოდე და ნახავ. (ქუჩიდან ხმამაღალი სიმღერა ისმის) მგონი ისინი არიან. (ქუჩის კარს ადებს და გარეთ იხედება) ღმერთმა დასწყევლოს, ოთხი მეზღვაურია! (ამაყად ბრუნდება ჯოსკენ) აბა, რას იტყვი? ადგილს ეძებენ. გავალ და ვეტყვი. (გარეთ გადის. ჯო დახლს უკან დგება მოთაფლული ღიმილით. წამის შემდეგ კარი იღება და შემოდის დრისკოლი, კოკი, ივანი და ოლსონი.

დრისკოლი მაღალი, დაკუნთული ირლანდიელია; კოკი, გამხდარი ტანდაბალი კაცი, მეჩხერი ნაცრისფერი ულვაშით; ივანი, მოუქნელი, მოუხეშავი გლეხი; ოლსონი ჩაფსკვნილი, საშუალო ასაკის შვედი, მრგვალი, ბავშვური ცისფერი თვალებით. პირველი სამი ძალიან ნასვამია, განსაკუთრებით ივანი, რომელიც ფეხებს ძლივს ადგამს. ოლსონი სრულიად ფხიზელია. მეზღვაურებს დაუდევრად აცვიათ უნიფორმა. ნიკი ოთახში შეიპარება და მათ უკან მაგიდასთან ჯდება. მეზღვაურები მიდიან წინა მაგიდისკენ.)

ჯო (მოჩვენებითი გულწრფელობით) შინ დაბრუნებას გაუმარჯოს მეგობრებო! მიხარია რომ სახლში მშვიდობით დაბრუნდით!

დრისკოლი (ბრუნდება, ოდნავ იხრება და ჯოს აშტერდება) აჰ, ეს შენ ხარ? (ოთახს ათვალიერებს) იგივე წყეული სორო, რა თქმა უნდა. კარგად მახსოვს ხუთი თუ ექვსი წლის წინ, სწორედ აქ უკანასკნელი შილინგიც რომ ამომაცალეს ჩაძინებულს. (უეცრად ბრაზდება) ახლაც იგივე არ გაბედოთ თორემ... (მუშტს უდერებს ჯოს).

ჯო (ნაჩქარევად აწყვეტინებს) ალბათ გეშლება. ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ.

კოკი (დამცინავად) ხო, აბა რა! ნამდვილი ანგელოზი ხარ, არა?

ივანი (უაზროდ იხდის ქუდს და ისევ იხურავს ნაღვლიანად) რაღაც არ მომწონს ეს ადგილი.

დრისკოლი (ისევ მიდის დახლთან. გული მოუღება) კარგი არა უშავს, ეს ყველაფერი წასული და დავიწყებულია. ისეთი კაცი არ ვარ, წყრომა ერთი ღამის იქით რომ გამყვეს. (ხელს გაუწოდებს, ჯო გაუბედავად ჩამოართმევს.) ვვიქრობ, ყველამ უნდა დავლიოთ. სამი ირლანდიური ვისკი!

კოკი (დაცინვით) და ერთი კათხა ლუდი ჩვენი სიყვარულის შვილისთვის. (ცერს კრავს ოლსონს).

ოლსონი (გულკეთილი ღიმილით) მე კარგი ბიჭი ვარ ამაღამ!

დრისკოლი (სანამ ჯოს სასმელი მაგიდასთან მოაქვს ჯოზე ეკითხება) რა უნდა იმ თაღლითს აქ?

ნიკი ერთი კათხა ლუდი, ჯო. (ჯო იღებს ლუდს და მიაქვს ბარის ბოლოში. ნიკი მიდის ასაღებად. ჯო მრავალმნიშვნელოვნად უკრავს თვალს და თავს აქნევს მარცხენა კარისკენ. ნიკი ანიშნებს, რომ გაიგო).

კოკი (სვამს ერთი მოსმით) საშინლად მწყურია! (წევს ჭიქას დრისკოლისკენ) გაგიმარჯოს, მეგობარო, გაგიმარჯოს!

დრისკოლი (ისე იდებს ჯიბეში ხურდას, რომ არც დახედავს) აი, სადღეგრძელო შენთვის: დაე, ჯოჯოხეთში დაიხრუკოს ის ეშმაკი ბოცმანი! (სვამს).

კოკი მართალია! ღმერთმა დასწყევლოს! (გამოცლის ჭიქას).

ივანი (ნახევრად მძინარე) კარგია. (სასმელს გადაჰკრავს. ოლსონი ლუდს წრუპავს. ნიკი ერთს მოსვამს, შემდეგ შემოუვლის დახლს და გადის მარცხენა ოთახში.)

კოკი (სოვერენს ამოიღებს) ეი შენ, გასიებული! კიდევ ერთი ჩამოგვისხი!

ჯო იგივე, მეგობრებო?

კოკი ჰო.

დრისკოლი არა, ჰეი მსახურო! მე ლუდს დავლევ.

ივანი (უცებ წამოხტება, ლამის მაგიდას ააყირავებს) არ მომწონს ეს ადგილი! გოგოებთან მინდა გართობა, გოგოებთან. არ მომწონს ეს ადგილი. ცეკვა მინდა, გოგოებთან!

დრისკოლი (სკამზე სვამს) მოკეტე, ბაბუინო! კარგი რომეო კი იქნებოდი ამ მდგომარეობაში. (ივანი ცდილობა დრისკოლს შეეწინააღმდეგოს, მაგრამ უცებ ჩაეძინება.)

ჯო (მოაქვს სასმელი, შეხედავს ოლსონს) შენ მეგობარო?

ოლსონი (თავს გადააქნევს) არაფერი მინდა, გმადლობთ.

კოკი (დამცინავად) ფულს ინახავს! სახლში ბრუნდება, დედასთან. იყიდის ფერმას და დაჩიჩქნის გამხმარ მიწას, აი რას იზამს! (ზიზღით გადააფურთხებს) სასაცილო მომავალია მეზღვაურისთვის, ღმერთმა დასწყევლოს!

ოლსონი (ღიმილით) სწორედ ეგ მომწონს, კოკი. ბავშვობაში ფერმაში ვცხოვრობდი.

დრისკოლი თავი გაანებე, არარაობავ! დედაჩემი ცოცხალი რომ ყოფილიყო მეც მასთან წასვლას ვინატრებდი და ამ სოროში არ ვიჯდებოდი.

კოკი (გულაჩუყებული ტირილს იწყებს) არა, ასე ნუ ლაპარაკობ დრისკ! შენი მოსმენა არ შემიძლია. მე არასდროს მყოლია დედა, არასოდეს...

დრისკოლი მოკეტე, მაიმუნო. ნეტავ შენი გასიებული წითელი ცხვირის დანახვა შეგეძლოს, იმედია არასოდეს იტირებდი. (ბღავილით მღერის) „ჩვენ ვართ უ-ე-ე-ქსფორდის ბიჭები, რომლებიც იბრძოდნენ გულითით და ხელით!..“ (სვამს და სხვებიც მიჰყვებიან მის მაგალითს.) ნებისმიერ კაცს გავგლეჯ ლონდონში, ვინც არ დალევს ამ სადღეგრძელოს. (მრისხანედ შეხედავს ჯოს, რომელიც დაუყოვნებლივ მოიყუდებს ლუდს. ნიკი ისევ შემოდის მარცხენა კარიდან, მიდის ჯოსთან და ყურში უჩურჩულებს. ეს უკანასკნელი კმაყოფილი უქნევს თავს.)

დრისკოლი (მათ შეხედავს) რას ეშმაკობთ თქვენ ორნი? (დაკუნთულ მუშტს მოუღერებს) რამე არ გაბედოთ, თორემ მე მოგივლით!

ჯო (ნაჩქარევად) არაფერს მეგობარო! ღმერთს გეფიცები!

ნიკი (მძინარე ივანზე მიუთითებს) შენი მეგობარი გოგოებს კითხულობდა. ვიფიქრე, გენდომებოდათ ქვევით ჩამოსულიყვნენ და თქვენთან ერთად დაეღიათ.

ჯო (თავმომწონედ უკრავს თვალს) ლამაზი გოგოები არიან, არა ნიკ?

ნიკი რა თქმა უნდა.

კოკი აა, მე ვიცი თქვენი გოგოები. დაგვაბრმავებენ თვანიანთი სიმახინჯით. არც ერთი შენი გაფურჩქნული გოგო არ მინდა, სქელო. მე და დრისკმა ვიცით ერთი ადგილი, არა დრისკ?

დრისკოლი ვიცით, და ახლავე იქ წავალთ. მუსიკაც არის და ცეკვაც კაცის გამოსაცოცხლებლად.

ჯო ნიკი დაუკრას, არა ნიკ?

ნიკი რა თქმა უნდა.

ჯო შეგიძლიათ გვერდითა ოთახში იცეკვოთ.

დრისკოლი ვაშაა! უკვე კარგია! (ფრედა და ქეთი შემოდის მარცხნიდან. ფრედა პატარა, ყვითელსახიანი ქერა გოგოა, ქეთი კი მსუქანი და შავგვრემანი.)

კოკი (ხმამაღლა, დრისკოლის მისამართით) ღმერთმა დასწყევლოს, შეხედე მათ! რა საშინელი შესახედავები

არიან?! (ქალები მიდიან მაგიდასთან, მოჩვენებითი ღიმილით.)

ფრედა გამარჯობა მეგობრებო.

ქეთი კარგად იმოგზაურეთ?

დრისკოლი საზიზღარი, მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა. როგორც იტყვიან, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

დაჯექით, რას დალევთ? (ქეთოს) ჩემთან დაჯექი ძვირფასო. რა გქვია?

ქეთი (სულელური სიცილით) ქეთი.

დრისკოლი (მკლავს ხვევს) ნამდვილი ირლანდიური სახელია, თუმცა შენ ინგლისელი ხარ. მაგრამ არა უშავს. რა მსუქანი ხარ, ქეთი ძვირფასო, ვერასოდეს ვიტანდი გამხდარ ქალებს. რას ინებებ?

ოლსონი არა დრისკ, ეს ერთი ჩემზე იყოს. (გულის ჯიბიდან ფულის შეკვრას იღებს და მაგიდაზე დებს. ჯო, ნიკი და ქალები ფულს ხარბად უყურებენ. ივანი განსაკუთრებით ღრმად ამოიხრებს)

ფრედა გააღვიძე შენი მეგობარი. ღმერთო, როგორ ვერ ვიტან ხვრინვას.

დრისკოლი (ადგება, დაარტყამს ივანს მისსავე ქუდს ყურებზე) გესმის ქალბატონი, რომ გელაპარაკება, შე რუშანელო ჩვარო? (ივანი ხვრინვით ეპასუხება. დრისკოლი იღებს დაბეგვილ ქუდს ივანის თავიდან და ისევ ურტყამს.) გაიღვიძე შე მთვრალო ღორო! (კიდევ ერთი ხვრინვა. ქალები ხითხითებენ. დრისკოლი ჭიქაში დარჩენილ ლუდს ივანს სახეში შეასხამს. რუსი ნაჩქარევად წამოხტება. ხარხარებენ.)

ივანი (გულისწყრომით) მისმინე – არ მომწონს შენი ხუმრობა!

კოკი ტყუილად ნუ ხარჯავ კარგ ლუდს, დრისკ.

ივანი (ბუზღუნით) გეუბნები – ეს არ არის-მეთქი სამართლიანი.

დრისკოლი შენი ბრალია ივან. შენ ჩიოდი გოგოების გამო და როცა მოვიდნენ, ზიხარ და საღორეში გაწოლილი გოჭივით ღრუტუნებ. საერთოდ არ გაქვს კარგი მანერები? (ივანმა თითქოს პირველად შეამჩნია გოგოები და სულელურად იცინის.)

ქეთი (დაცინვით) გაგიმარჯოს მეგობარო, რა ხდება რუსეთში?

ივანი (ნასიამოვნებულად ჯიბეებში იწყობს) სასმელს ვიყიდი.

ოლსონი არა, ეს ერთი ჩემზე იყოს. (ჯოს) ეი, შენ ბარმენო!

ჯო რა გინდა ქეთი?

ქეთი ჯინი.

ფრედა ბრენდი.

დრისკოლი და ირლანდიური ვისკი სამივესთვის. ჩვენი თავშეკავებული მეგობრის გამოკლებით, ღმერთო შენ შეიწყალე!

ფრედა (ოლსონს) შენ არ სვამ?

ოლსონი (ნახევრად დარცხვენით) არა.

ფრედა (მაცდური ღიმილით) არ გაგკიცხავ. მართალი ხარ. მე მხოლოდ ერთ ყლუპ ბრენდს დავლევ,

ჯანმრთელობისთვის. (ჯოს მოაქვს სასმელები და ოლსონის ხურდა. კოკი ბარბაციტ დგება ფეხზე და ჰაერში წევს ჭიქას.)

კოკი აი, კარგი სადღეგრძელო თქვენთვის: ქალბატონებო, ღმერთმა – (ყოყმანობს – შემდეგ უხალისო ტონით ამატებს) – დაგლოცოთ.

ქეითი (სულელურად ხითხითებს) ოო, ეს ის არ იყო რის თქმასაც აპირებდი, შენ ცუდო კოკი, შენა! (ყველანი სვამენ.)

დრისკოლი (ნიკს) სად არის დაპირებული მუსიკა?

ნიკი მოდი აქეთ და მოისმენ.

დრისკოლი (დგება) წამოდით ყველანი. მუსიკაც გვექნება და ცეკვაც, იმედია ზედმეტად ნასვამი არ ვარ რომ ვიცეკვო, ღმერთო შენ მიშველე. (კოკი და ივანი დაბარბაცებენ. ივანი ფეხზე ძლივს დგას. ალმაცერად უყურებს ქეითს და თავისთვის სენტიმენტალურად ხეხვინებს. სამი მეზღვაური, ნიკის მეთაურობით, მარცხენა კარში გადიან. ქეითი მათ მიჰყვება. ოლსონი და ფრედა ადგილზე რჩებიან.)

კოკი (ზურგიდან გასძახის) მოდი და იცეკვე, ოლი.

ოლსონი ახლავე, მოვდივარ. (ადგომას დააპირებს. გვერდითა ოთახიდან გამოდის აკორდეონის ხმა და დრისკოლის ბობოქარი ყიჟინა, რომელსაც ფეხების ბაკუნი მოჰყვება.)

ფრედა ო, არ წახვიდე. ჩემთან დარჩი და მელაპარაკე. შენს გარდა ყველა ნასვამია. (ღიმილით შეხედავს) თუ წახვალ ვიფიქრებ, რომ არ მოგწონვარ.

ოლსონი (დაბნეული) არა ხართ მართალი მის ფრედა. მე არ... მე ვგულისხმობ, რომ მომწონხართ.

ფრედა (ღიმილით ადებს ხელს ხელზე) მე კი შენ მომწონხარ. შენ ჯენტლმენი ხარ. არ თვრები და არ შეურაცხყოფ საწყალ გოგოებს, რომელთაც მძიმე და უბედური ცხოვრება აქვთ.

ოლსონი (ნასიამოვნები, მაგრამ კიდევ უფრო დაბნეული, ფეხს ფეხზე გადაიდებს) მე ხშირად ვყოფილვარ ნასვამი მის ფრედა.

ფრედა აბა, ახლა რატომ არ სვამ? (სწრაფად, კითხვის გამომხატველი თვალებით შეხედავს ჯოს, რომელიც თავს უქნევს – შემდეგ თავდაჯერებული აგრძელებს) მომიყევი რამე შენს შესახებ.

ოლსონი (ღიმილით) არაფერია სათქმელი მის ფრედა. ერთი ღარიბი მეზღვაური ვარ, სულ ესაა.

ფრედა სად დაიბადეთ, ნორვეგიაში? (ოლსონი თავს აქნევს.) დანიაში?

ოლსონი არა. კიდევ ერთხელ სცადე გამოცნობა.

ფრედა მაშინ ალბათ შვედეთში.

ოლსონი დიახ. სტოკჰოლმში დავიბადე.

ფრედა (თავს აჩვენებს თითქმის ძალიან ესიამოვნა) ოჰ, სასაცილო არ არის?! მეც იქ დავიბადე – სტოკჰოლმში.

ოლსონი (განცვიფრებული) შვედეთში დაიბადეთ?

ფრედა ჰო, ვერ იფიქრებდი, მაგრამ სრული სიმართლეა. (ტაშს შემოჰკრავს აღტაცებით.)

ოლსონი (გახარებული) შვედურად ლაპარაკობთ?

ფრედა (ცდილობს ნაღვლიანად გაიღიმოს) იცი, ჩემი მშობლები ინგლისში, რომ ჩამოვიდნენ მე ბავშვი ვიყავი და მათ ინგლისურად ლაპარაკი მანამდე დაიწყეს, სანამ ლაპარაკს ვისწავლიდი. ამიტომ არასოდეს მისწავლია შვედური. (მოწყენილი) ნეტავ, მცოდნოდა! (ღიმილით) ბევრს ვიმხიარულებდით, რომ მცოდნოდა, არა? ოლსონი დროდადრო სასიამოვნოა მშობლიური ენის მოსმენა.

ფრედა მართალია! სახლისნაირი ადგილი არსად არის. გემის გასვლამდე აპირებ სტოკჰოლმში წასვლას?

ოლსონი კი. მე აქედან სახლში მივდივარ – სტოკჰოლმში. (ამაყად) როგორც მგზავრი!

ფრედა როცა შვებულება დაგიმთავრდება ახალ გემზე ახვალ?

ოლსონი არა. გემით აღარასდროს გავალ ზღვაში. ყველა ზღვა მოვიარე – ძალიან მძიმე სამუშაოა და ძალიან ცოტას გიხდის. გემზე შეუსვენებლად უნდა იმუშაო. მეტი აღარ მინდა.

ფრედა აჰ, ვხედავ, ამიტომაც ანებებ თავს სმას.

ოლსონი დიახ. (ღიმილით) თუ ვსვამ, ვთვრები და მთელ ფულს ვხარჯავ.

ფრედა მაგრამ თუ მეზღვაური აღარ იქნები, მაშინ რას გააკეთებ? მთელი ცხოვრება მეზღვაური იყავი, არა?

ოლსონი არა. თვრამეტ წლამდე ფერმაში ვმუშაობდი. მომწონს კიდეც, სასიამოვნოა ფერმაში მუშაობა.

ფრედა მაგრამ სტოკჰოლმი ხომ ლონდონის მსგავსი ქალაქია?! იქ ხომ ფერმები არ არის?

ოლსონი ჩვენ ფერმაში ვცხოვრობთ სტოკჰოლმიდან ცოტა მოშორებით, მე, ჩემი ძმა და დედაჩემი, მამაჩემი მკვდარია. ახლა საკმაო ფული მაქვს. ორ წლის ხელფასი მიმაქვს და ცოტა მიწას ვიყიდი. ვიმუშავე ფერმაში.

(გულიანად იღიმება) მეტი არავითარი ზღვა, არავითარი საშინელი საჭმელი, არავითარი ქარიშხალი – მხოლოდ სასიამოვნო სამუშაო.

ფრედა ოჰ, რა მშვენიერია! ალბათ დაქორწინდები კიდეც, არა?

ოლსონი (ძალიან დაბნეული) არ ვიცი. კარგი იქნებოდა, თუ კარგ გოგოს ვნახავ, შეიძლება...

ფრედა ვინმე არ გყავს სტოკჰოლმში? დარწმუნებული ვარ გყავს.

ოლსონი არა. ერთი კარგი გოგო მყავდა სანამ ზღვაში გავიდოდი, მაგრამ მერე გემზე წავედი და აღარ დავბრუნდი, ის კი სხვაზე გათხოვდა. (მორიდებულად იღიმება.)

ფრედა მაინც კარგია სახლში რომ მიდიხარ.

ოლსონი კი, ასე ვფიქრობ. (უცერად მარცხენა ოთახიდან ბრაზუნის გაისმის და მუსიკა წყდება. წუთის შემდეგ კოკი და დრისკოლი გამოდიან, რომელთაც მოდუნებული ივანი მოჰყავთ მხრებით. ივანი მოწამლულია, ფეხის განძრევის თავიც არ აქვს. ნიკი მოჰყვება მათ და ჯდება უკანა მაგიდასთან.)

დრისკოლი (სანამ ზიგზაგისებურად მიდიან დახლისკენ) მგონი მოკვდა, ფეხს ვერ ადგამს.

კოკი (ქოშინით) ღმერთო, რა მძიმეა!

დრისკოლი (თავისუფალი ხელით სილას აწნის ივანს) გაიღვიძე, არამზადა! აზრი არა აქვს. გაბრიელ მთავარანგელოზის საყვირიც კი ვერ გააღვიძებს. (ჯოს) მოგვეცი სასმელი, წყურვილით ვკვდები. რა მძიმეა. ჯო ვისკი?

დრისკოლი ირლანდიური ვისკი, შე ჩვარო. (მონეტას დახლზე დებს. ჯო ემსახურება კოკის და დრისკოლს.

დალევენ და მიბრუნდებიან ოლსონის მაგიდასკენ.)

ოლსონი დაჯექი და დაისვენე ცოტა ხნით, დრისკ.

დრისკოლი არა, ოლი, ამ ბიჭს სახლში წავიყვანთ. გვიანია იმისთვის, რომ ასეთი ახალგაზრდა გარეთ დავტოვო.

ვერ ვენდობი ასეთ მთვრალს, მთელი ჯამაგირი ჯიბეში აქვს. (ხელს უქნევს ჯოს) ჰეი, კარგად ვიცი შენი ოინები, კარგად ჩემო პატარავ!

ჯო (დამწუხრებული) ისევ შეურაცხყოფას აყენებ პატიოსან კაცს!

კოკი ჰო, მოუსმინე! მიდი, ხელი კარი, დრისკ.

ოლსონი (აღღებებული დგება, რომ ჩხუბი აიცილოს) დაგეხმარები, ივანს პანსიონში წაგაყვანინებ.

ფრედა (უკმაყოფილოდ) ოჰ, მე ხომ არ დამტოვებ? ისეთი სასიამოვნოდ ვსაუბრობდით?!

დრისკოლი (თვალს ჩაუკრავს) გაიგე რას ამბობს ქალბატონი, ოლი? უკეთესია თუ დარჩები, ჩემო თავაზიანო

ბიჭო. ჩვენ დახმარება არ გვჭირდება. პატარა გზაა, თანაც როცა ნასვამები ვართ უფრო ძლიერები ვართ. ძნელი არ არის ამ მკვდრის სახლში წაღება. თუმცა შეგიძლია კარები გაგვიღო, ოლი. (ოლსონი მიდის კარებთან და აღებს.) მოდი, კოკი, და ნუ გეძინება. (ბარბაცით მიდიან კარისკენ. როცა გავლენ, დრისკოლი გვერდიდან მოაძახებს) ცოტა ხანში დავბრუნდებით. ასე რომ აქ დაგველოდე, ოლი.

ოლსონი კარგი. აქ დავიცდი დრისკ. (ყოყმანით დგას კარებში. ჯო გაშმაგებით ანიშნებს ფრედას, რომ ისინი უკან შემოიყვანოს. ფრედა მიდის და ხელს ხვევს ოლსონს მხარზე. ჯო ანიშნებს ნიკს, რომ მივიდეს დახლთან. აღელვებულები ჩურჩულებენ.)

ფრედა (მუდარით) ხომ არ დამტოვებ ძვირფასო? (აღელვებული) ღვთის გულისათვის, დახურე კარი! ნისლის გამო საშინლად მცივა. (ოლსონი მიდის და კარს ხურავს.)

ოლსონი (თავმდაბლურად) უკაცრავად, მის ფრედა.

ფრედა (ხველებით მიჰყავს მაგიდასთან) მიყიდე რა სასმელს, ბრენდი აჯობებს. ძალიან მცივა.

ოლსონი რასაც ინებებთ, მის ფრედა, რასაც ინებებთ. (ჯოს, რომელიც ჯერ კიდევ ჩასჩურჩულებს ნიკს მითითებებს) ჰეი, შენ! ბრენდი მის ფრედასთვის. (მაგიდაზე დებს ფულს.)

ჯო ახლავე! (ასხამს სასმელს და მიაქვს მაგიდასთან.) შენ თვითონ რამეს მიირთმევ მეგობარო?

ოლსონი არა, არა მგონია. (ღიმილით მიუთითებს თავის ჭიქაზე.) ეს მხოლოდ მუცლის გამოსარეცხია, არა? (იცინის.)

ჯო (იმედიანად) კაცური სასმელი დალიე.

ოლსონი სიამოვნებით, მაგრამ არა. თუ ერთს დავლევ ათასის დალევა მომინდება. (ისევ იცინის.)

ფრედა (ჯოს ღვარძლიან წარბის აწევაზე რეაგირებს) ო, აილე რამე. მე მარტო დალევას არ ვაპირებ.

ოლსონი მაშინ ცოტა ლუდი დამისხი – ოლონდ ცოტა. (ჯო ბრუნდება დახლთან, ნიკს ანიშნებს, რომ მივიდეს მათ მაგიდასთან. ნიკი მიდის და დგება ისე, რომ მეზღვაური ვერ ხედავს რას აკეთებს ჯო.)

ნიკი (ლაპარაკის დასაწყებად) სად წავიდნენ შენი მეგობრები? (ჯო პატარა ბოთლიდან რაღაცას ასხამს ოლსონის ლუდის კაბხაში.)

ოლსონი მთვრალი ივანე წაიყვანეს დასაწყენად. მალე დაბრუნდებიან. (ჯოს მოაქვს ოლსონის სასმელი მაგიდასთან და მის წინ დებს.)

ჯო (ნიკს – გაბრაზებით) არ გამეცლები? ვერ ხედავ, რომ უსაქმურობის დრო არ არის? სწრაფად!

ნიკი არ იდარდო, მივდივარ. (სასწრაფოდ გადის. ჯო თავის ადგილას ბრუნდება.)

ოლსონი (პაუზის შემდეგ – დამწუხრებული) მგონი მათ უნდა დავედევნო. კოკიც ძალიან ნასვამია და დრისკი... ფრედა აჰ, დიდი ირლანდიელი მშვენივრად არის. ხომ გაიგე, გითხრეს აუცილებლად დავბრუნდებით და დაგველოდეო.

ოლსონი კი, მაგრამ თუ მალე არ მოვლენ, ვფიქრობ უნდა წავიდე და ვნახო კარგად არიან თუ არა პანსიონში.

ფრედა სად არის მათი პანსიონი?

ოლსონი ცოტა მოშორებით აქედან.

ფრედა შენც იქ ცხოვრობ?

ოლსონი კი, ორი დღით, სანამ გემი სტოკჰოლმისკენ გავა.

ფრედა (ხშირ-ხშირად გადახედავს ჯოს და აღელვებული ცდილობს ოლსონს ლაპარაკი გაუბას, რომ წასვლა

დაავიწყოს.) დედაშენი ძალიან კმაყოფილი იქნება შენი ნახვით არა? (ოლსონი ილიმის.) იცის რომ შინ ბრუნდები?

ოლსონი არა. ვიფიქრე სიურპრიზს მოუწყობ-მეთქი. ბუნდოს აირესიდან მივწერე, მაგრამ არ მითქვამს რომ სახლში ვბრუნდები.

ფრედა დედაშენი მოხუცი უნდა იყოს, არა?

ოლსონი ოთხმოცდაორი წლისაა. (აგონდება და ილიმის.) იცით, მის ფრედა, დედაჩემი და ჩემი ძმა არ მინახავს – მოიცათ დაავიქრდე – (ნელა ითვლის თითებზე) ათ წელიწადზე მეტი იქნება. მე იშვიათად ვწერ, ის კი ხშირად მწერს. ჩემი ძმაც მწერს. დედაჩემი ყველა წერილში მეუბნება, რომ დაუყოვნებლივ შინ უნდა დავბრუნდე. ჩემი ძმაც იმავეს მწერს. უნდა რომ ფერმაში მივებმარო. მეც ყოველთვის ვწერ, რომ მალე დავბრუნდები; და ყოველი მოგზაურობის დამთავრების შემდეგ ვფიქრობ სახლში დაბრუნებას. მაგრამ გადმოვდივარ ნაპირზე, ვიღებ ერთ სასმელს, მერე ბევრ სასმელს, ვთვრები, მთელ ფულს ვხარჯავ და იძულებული ვარ ახალ მოგზაურობაში წავიდე. ასე რომ ამჯერად ჩემს თავს ვუთხარი: არ დალიო არც ერთი ჭიქა, ოლი, თუ არადა ნამდვილად ვერ წახვალ სახლში. ამჯერად მინდა შინ წასვლა. ფერმა და ჩემი ხალხის ნახვა მენატრება. (ილიმის) სახლი მენატრება, როგორც პატარა ბიჭს. ამიტომ არ ვსვამ ამაღამ არაფერს, ამ მუცლის გამოსარეცხის გარდა (ბავშვურად იცინის, შემდეგ უეცრად სერიოზული ხდება.) იცით, მის ფრედა, დედაჩემი ძალიან დაბერდა და მინდა ვნახო. ის შეიძლება მოკვდეს და მე არასოდეს...

ფრედა (შემრწუნებული) ოჰ, ასე ნუ ლაპარაკობ! ვერ ვიტან როცა სიკვდილზე ლაპარაკობენ. (ქუჩაში გამავალი კარი იღება და ნიკი შემოდის. მას ორი ტლანქი, ღარიბულად ჩაცმული კაცი მოჰყვება, რომლებსაც ყელსახვევები უკეთიათ, ქუდები კი თვალზე აქვთ ჩამოფხატული. სხდებიან უახლოეს მაგიდასთან. ჯოს მათთვის სამი ლუდი მოაქვს. ჩურჩულით თათბირობენ და ოლსონისკენ ხშირად იხედებიან.)

ოლსონი (შეწუხებული ადგომას დააპირებს) ვფიქრობ პანსიონში უნდა წავიდე. მგონი დრისკს და კოკის რაღაც დემართათ.

ფრედა ოჰ, არ წახვიდე. ისინი მიხედავენ თავს. ბავშვები არ არიან. ცოტა კიდევ მოითმინე. სასმელი ჯერ არ დაგიღევია.

ჯო (ნაჩქარევად მიდის მაგიდისკენ, ცერა თითით მიუთითებს უკან მჯდომ კაცებზე) ერთ-ერთ ახალგაზრდას უნდა რომ მასთან დალიო.

ფრედა მართალია! (ოლსონს) მოდი დავლიოთ. (წევს ჭიქას. ოლსონიც იმავეს აკეთებს.) აი, სადღეგრძელო შენთვის: წარმატებები შენს ფერმაში, ბედნიერად და დიდხანს გეცხოვროს იქ. გაგიმარჯოს! (მოიყუდებს ბრენდის. ოლსონი ნახევარ კათხა ლუდს დალევს და უსიამოვნო გამომეტყველებას იღებს.)

ოლსონი გაგიმარჯოს! (ღებს ჭიქას.)

ფრედა (მოჩვენებითი გულისწყრომით) არ მოგწონს ჩემი სადღეგრძელო?

ოლსონი (გალიმებული) კი. ძალიან კარგია, მის ფრედა.

ფრედა მაშინ ჩემსავით ბოლომდე გამოცალე.

ოლსონი კარგი. (მოიყუდებს დარჩენილ სასმელს.) აი! (იცინის.)

ფრედა გამზადებულია!

ერთ-ერთი ხულიგანი (სიცილით) ჰეი, „ამინდრა“!

ნიკი (აფრთხილებს) სუ!

ოლსონი (სკამზე ტრიალდება) „ამინდრა“? პორტშია? ერთხელ ვიცურე მასზე დიდი ხნის წინ, სამი ანძა, სრული ადჭურვილობა... ამ გემს გულისხმობ?

ხულიგანი (ღიმილით) ჰო, მართალი ხარ.

ოლსონი (გაბრაზებული) ვიცი ეგ წყეული გემი – ყველაზე საშინელი გემია რომელიც ზღვაში დაცურავს. დამპალი საკვები აქვთ და მთელი დღე მუშაობას გაიძულებენ. კაპიტანი და მისი თანაშემწე „ბლუნოუსის“ დემონები იყვნენ. არც ერთი მეზღვაური, რომელმაც რაიმე იცის არ ავა მასზე. აქედან საით მიცურავს?

ხულიგანი გამთენიისას როუნდ კეიპ ჰორნისკენ მიცურავს.

ოლსონი მეცოდებიან საწყალი ბიჭები წლის ამ დროს კეიპ სტიფისკენ რომ მიდიან. დავნიძლავდები, ბევრი მათგანი ვედარც იხილავს პორტს. (გაოცებული თვალეზზე ხელს გადაისვამს. ძლივს ლაპარაკობს) ღმერთმანი, თავბრუ მესხმის. მთელი ოთახი ტრიალებს თითქოს მთვრალი ვიყო. (ძლივს დგება ფეხზე.) ღამე მშვიდობისა, მის ფრედა. თავს საშინლად ვგრძნობ. დრისკს უთხარით, რომ სახლში წავედი. (ნაბიჯს გადადგამს და უცებ სკამზე დაეცემა, ჩამოგორდება და იატაკზე უგონოდ გაერთხმება.)

ჯო (დახლიდან) სწრაფად! (ნიკი წინ გაქანდება, ჯო უკან მიჰყვება. ფრედა უკვე უგონოდ მყოფი კაცის გვერდითა და ფულის შეკვრას აცლის გული ჯიბიდან. სასწრაფოთ ააგლეჯს ერთ ბანკნოტს და მკედში ჩაიჩრის. ცდილობს, დამალოს თავისი ქმედება, მაგრამ ჯო ყველაფერს ხედავს. ფრედა ფულს ჯოს აწვდის, რომელიც ჯიბეში იდებს მას. ნიკი ყველა ჯიბეს უსინჯავს ოლსონს და ერთ მუჭა ხურდას მაგიდაზე დებს.)

ჯო (მოუთმენლად) სწრაფად, სწრაფად, არ შეგიძლიათ? დანარჩენი ბიჭები მალე აქ იქნებიან. (ორი ხულიგანი მიუახლოვდება.) მოდით, თქვენ ორმა აწიეთ მკლავებით ვითომ მთვრალია. (ბრძანებას ასრულებენ.)

„ამინდრაზე“ წაიყვანეთ, იცით ხომ სად არის? ორი ნავსადგურის იქით. ნიკი გაგიძღვებათ. შენ კი ნიკ, არ გაბედო იმ წყეული გემიდან ჩამოსვლა სანამ კაპიტანი არ მოგცემს ამ ბიჭის სესხს – მთელი თვის გადასახადს – ხუთ სტერლინგს, გესმის?

ნიკი ვიცი ჩემი საქმე მეგობარო. (ოლსონი მიჰყავთ კარამდე.)

ხულიგანი (გასვლისას) ამ სულელ ბიჭს დიდი სიურპრიზი ელოდება, როცა გემბანზე გაიღვიძებს. (იცინიან. კარები იხურება. ფრედა სასწრაფოდ მიდის მარცხენა კარისკენ, მაგრამ ჯო ელოდება და აჩერებს.)

ჯო (მუქარით) მოგვეცი რაც აიღე!

ფრედა ავიღე? მე ყველაფერი მოგვეცი რაც მას ჰქონდა.

ჯო მატყუარა ხარ! დაგინახე, როგორ ეშმაკობდი, მაგრამ ჯოს ვერ გაასულელებ. ძალიან დიდი ვარ მაგისთვის. (მრისხანედ) მომეცი, შე წყეულო ძროხა! (მკლავზე სტაცებს ხელს.)

ფრედა თავი დამანებე! არ მაქვს არაფერი...

ჯო (ღვარძლიანად ურტყამს ყბაში. ფრედა ძირს ეცემა.) ახლა ჰკუპას ისწავლი! (იხრება, ხელს მკერდში უფათურებს, ფულს ამოაძრობს და კმაყოფილი ბუზღუნით იტენის ჯიბეში. ქეთი ადებს მარცხენა კარს და იხედება. შემდეგ მისწრაფის ფრედასკენ და მის თავს მკლავებზე იდებს.)

ქეთი (წყნარად) საწყალი გოგო! (გაბრაზებული შეხედავს ჯოს) ისევ დაარტყი, არა, შე ლაჩარო ღორო!

ჯო ხო და შენც დაგარტყამ თუ არ გაჩუმდები. გაიყვანე აქედან! (ქეთოს მიჰყავს ფრედა გვერდითა ოთახში. ჯო მიდის დახლისკენ. წუთის შემდეგ გარეთა კარი იღება და დრისკოლი და კოკი შემოდიან.)

დრისკოლი მოდი ოლი. (უცებ ხედავს, რომ ოლსონი არ არის იქ და ჯოს მიუბრუნდება.) სად წავიდა?

ჯო (მრავალმნიშვნელოვნად უკრავს თვალს) ის და ფრედა წავიდნენ ერთად, ასე ხუთი წუთის წინ. ნამდვილად შეეყვარებულა მასზე.

დრისკოლი (ღიმილით) ოჰო, ასე არა? ვინ იფიქრებდა, რომ ოლი ასეთი ეშმაკი იქნებოდა ქალებთან. კიდევ კარგი ფხიზელია, თორემ ის გოგო უკანასკნელ პენამდე გაფრცქვნიდა. (უბრუნდება კოკის, რომელიც ნამძინარევი ჭუტავს თვალებს) რას დაღევ, შე სამაგელო? (ჯოს) ვისკი მომეცი, ირლანდიური ვისკი!
(ფარდა ეშვება)